საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგი III დადიანი

გიორგი III დადიანი (გ. 1582), ოდიშის (სამეგრელო) მთავარი 1572–73, 1578–82, ლევან I დადიანის ძე.

მუდმივი მტრობა ჰქონდა გურიის მთავართან. 1573 გიორგი II გურიელის დახმარებით ტახტი წაართვა ძმამ – მამიამ (მამია IV დადიანი). გ. III დ. აფხაზეთში გაიქცა და შეეცადა აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა დახმარებით ტახტი დაებრუნებინა, მაგრამ კვლავ დამარცხდა. 1578 იგი იმერეთის მეფის გიორგი III-ის დახმარებით შეურიგდა ძმას, გურიელს და ტახტი დაიბრუნა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ნაწ. 2, ტფ., 1913.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962.

თ. ბერაძე